

სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერება ზურაბ ჟვანიას სახელობის  
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ახალქალაქის რეგიონულ  
სასწავლო ცენტრში

ნანა ხუფენია

თამარ რაზმაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი გიორგი გახელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## 1.2 განაცხადი

წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ხუფენია /ნ.ხუფენია/

თამარ რაზმაძე /თ.რაზმაძე/

26.06.17

### 1.3 აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო სადისერტაციო კვლევის ანგარიშს თემაზე: „სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერება სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ახალქალაქის რეგიონულ სასწავლო ცენტრში“. საკვლევი საკითხი შეირჩა სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან დისკუსიის საფუძველზე.

ჩატარებული პრაქტიკული კვლევის მიზანია: ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ახალქალაქის რეგიონულ სასწავლო ცენტრში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური უმცირესობებისათვის საქართველოში განათლების მიღების მოტივაციის შექმნა-გაძლიერება. ნაშრომი ფოკუსირებას ახდენს საგანმანათლებლო-საჯარო დაწესებულების როლის გაზრდაზე ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისა და სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით. ჩატარებულმა რაოდენობრივმა და თვისობრივმა კვლევებმა განსაზღვრა ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდა მსმენელთა მოტივაცია- დემოტივაციას: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობა, საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ინფორმაციისა და ქართულენოვან გარემოში ყოფნის დეფიციტი, მთავარი ფაქტორებია, რომლებიც იწვევს სამცხე-ჯავახეთში დასახლებული, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ინტეგრაციისა და სამოქალაქო პასიურობის პრობლემას. დიაგნოსტიკების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, განხორციელდა ინტერვენციები, რომელთა მიზანი იყო მომხდარიყო აღნიშნული სკოლის მსმენელების ქართულენოვან, აკადემიურ გარემოში მოხვედრა, რაც დადებითად იმოქმედებდა მათ სამოქალაქო ინტეგრაციასა და სახელმწიფო ენის შესწავლაზე. ინტერვენციების შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი ტენდენციები, ადმინისტრაციისა და პედაგოგებისათვის შეთავაზებული ინიციატივები ახალი და საინტერესო გამოცდილება აღმოჩნდა სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერების კუთხით და მნიშვნელოვანი ცვლილება განაპირობა აღნიშნულ სკოლაში, რომელიც შეიძლება განზოგადდეს, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საძიებო სიტყვები: პრაქტიკული კვლევა, სამოქალაქო ინტეგრაცია, ეთნიკური უმცირესობები, ინტეგრაციის გაძლიერება.

### 1.3 Abstract

The given work represents the report of Master's Dissertation Research, concerning the topic:

“Strengthening of civil integration in Akhalkalaki Regional Educational Center of LEPL Zurab Zhvania Georgian School of Public Administration”. The research issue has been selected on the basis of discussions with the school pedagogues and administration.

The aim of conducted practical research is the creation and strengthening of educational motivation for civil integration and ethnical minority in Georgia in Akhalkalaki Regional Educational Center of LEPL Zurab Zhvania Georgian School of Public Administration.

The work focuses on the increasing of role of civil educational institutions from the point of view of civil interests of ethnical minority and increasing of motivation of state language study. The conducted quantitative and qualitative studies have determined factors which supported the motivation- demotivation of the audience: lack of participation in social life, information vacuum existing in the educational space, deficiency of being in the Georgian environment those are the main factors, which lead to the problem of integration and civic passivity of ethnic Armenians living in Samtskhe-Javakheti.

According to the problems emphasized on the level of diagnostics, interventions were conducted, which focused on entering of the

audience of above mentioned school into Georgian, academic environment, which would have the positive influence on their civil integration and study of state language.

The tendencies and the initiatives offered to the administration and pedagogues, specified on the level of intervention assessment, turned out to be a new and interesting experience from the point of view of strengthening of civil integration and provided the essential changes in the mentioned school, which could be generalized as the civil important factor of strengthening of civil integration.

Key words: practical research, civil integration, ethnical minority, strengthening of integration.

## 1.4 მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული თავდაუზოგავი შრომის, მხარდაჭერისა და კვლევის მსვლელობისას მიღებული რეკომენდაციებისათვის, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორს, ბატონ გიორგი გახელაძეს.

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას და მის დირექტორს, ქალბატონ ქეთევან მახარაშვილს, ცენტრის ადმინისტრატორის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ მაგდა ამირშადიანს, ამავე სკოლის პედაგოგებსა და ექსპერიმენტული ჯგუფის მსმენელებს, რომელთა დახმარებისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე გავგიჭირდებოდა კვლევის განხორციელება.

მადლობას ვუხდით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ მერაბ ბერიძეს, მის მოადგილეს-ვასილ მოსიაშვილს და დანარჩენ თანამშრომლებს, რომლებიც გვეხმარებოდნენ კვლევის პროცესში დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებაში.

მადლობა ახალქალაქის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლელა ჭინჭარაულს, ამ კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციის განხორციელების პროცესში მაქსიმალური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის.